თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3729906

ნომერი: AR1563295

თარიღი : 07.12.2017

გაცემის თარიღი : 12.12.2017

გაცნობის თარიღი : 12.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა I ასპინძა , N 13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა ჩიხრაძე პ/ნ 01003007915
- ქ.თბილისი,q.wamebuli-bochorma, 50/18, bina16

ორგანიზაცია:

- შპს ბი ემ ჯი დეველოპმენტი კოდი: 405135820

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 07 დეკემბრის №AR1563295 განცხადებით მომართა ლაშა ჩიხრაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება, ამავე ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, I ასპინძის ქუჩა N 13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: №01.16.04.054.002), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო სამსახურის 2017 წლის 18 ნოემბრის №3698070 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, I ასპინძის ქუჩა N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ: №01.16.04.054.002), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 24 ნოემბრიდან 2019 წლის 24 ივლისის ჩათვლით.
ასევე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა ის, რომ სამსახურის 2017 წლის 07 დეკემბრის №3717234 ბრძანებით გასწორდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდა 370 კვ.მ.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად ნაცვლად 3119.7 კვ.მ-სა დაფიქსირდა 3133.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობად ნაცვლად 785.8 კვ.მ -სა დაფიქსირდა 772.1 კვ.მ, საერთო ფართობად ნაცვლად 4851.6 კვ.მ-სა დაფიქსირდა 4864.5 კვ.მ. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებით შეთანხმებული +13.200 ნიშნულზე მდებარე საპროექტო გეგმის 2017 წლის 07 დეკემბრის №AR1563295 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო გეგმით ჩანაცვლება.

სამსახურმა 2017 წლის 07 დეკემბრის №AR1563295 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 3119.7 კვ.მ, საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს 785.8 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 4851.6 კვ.მ.
2. ჩანაცვლდეს 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებით შეთანხმებული +13.200 ნიშნულზე მდებარე საპროექტო გეგმა 2017 წლის 07 დეკემბრის №AR1563295 განცხადებაზე წარმოდგენილი საპროექტო გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 15 ნოემბრის №3681435 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.